ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №24
(საქონლის შესყიდვა)

ქალაქი ფოთი

11 სექტემბერი 2017 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრი შემდეგში ,,შემსყიდველი", მისი დირექტორის გრიგოლ ლიფონავას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ფოთი-ენერგო"-ს მისი დირექტორის გელა ვადაქარიას სახით, შემდეგში ,,შემსრულებელი" - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ,,ხელშეკრულება") შესაბამისად საქონლის შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს თუ შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ღირებულება არ არემატება 5000 ლარს.

,,შემსყიდველი'' ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრის 2017 წლის საკუთარი სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდის, ხოლო ,,შემსრულებელი'' შეასრულებს განათების მოწყობის (შემდეგში ,,შესრულებული სამუშაო") და მათთან დაკავსირებული მომსახურებები(შემდეგში მომსახურება).

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება – სამეურნეო საქონელი
2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.
2.3 შესყიდვის კატეგორია - 45300000- საშენებლო სამონტაჟო სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV)კოდი-45316100-გარეგანათების მოწყობილობების მონტაჟი

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **2984 (ორიათას ცხრაას ოთხმოცდაოთხი) ლარი 06 თეთრი**, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2017 წლის 22 სექტემბრის ჩათვლით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად (ეტაპობრივი მიწოდება), მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები და სხვა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 სექტემბრამდე.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრი შემდეგში ,,შემსყიდველი", მისი დირექტორი.

7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).

7.4 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

8.მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1 შემსრულებელი ვალდებული:

8.1.1 დამკვეთს შეუსრულოს სამუშაოები მარალო ხარისახიტ,ტქნიკური დოკუმენტაციის სრული შესაბამისობით, დადაგენილი ნორმებისმოთხოვნის დაცვით,საკუთარი მუშა-ხელით, ტრანსპორტით, მასალებითა და მექანიზმებით.

8.1.2 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას მიღება-ჩაბარების აქტის შემდეგ 1 წლის განმავლობაში დაზიანების შემთხვევაში უფასოდ აღმოფხვრას აღნიშნული დაზიანებები.

5.2. დამკვეთი ვალდებულია:

5.2.1 დროულად უზრუნველყოს შემსრულებელი საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციითა და ტერიტორიით

5.2.2.მოახდინოს ანგარიშსწორება ამ ხელსეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და ხელი შეუწყოს შემსრულებელს ვალდებულების დროულად შესასრულებლად.

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი

უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. სხვა პირობები

10.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების ცენტრის დირექტორი.

10.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი – მიმწოდებელთან, ერთი – შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

10.4 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები;

,,დამკვეთი''	„შემსრულებელი“
ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა–პატრონობის ცენტრის დირექტორი :	შპს „ფოთი-ენერგო“-ს დირექტორი:
გ.ლიფონავა	გ.ვადაქარია
ს/კ № 415092919 სახაზინო კოდი 742857499 სახელმწიფო ხაზინა მის: ქ. ფოთი ჭანტურიას N3	სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია “ UGEBGE22 ა/ა GE77VT0600001512123603 ს/კ 215149140 მის.ქ.ფოთი ბარათაშვილის N99/6